

## რ ე კ მ ე ნ დ ა ც ი ა

### სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო ლევან,

საქართველოს სახალხო დამცველს 2020 წლის 16 დეკემბერს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით მომართა პროფესიონალი ქალი ფეხბურთელების წარმომადგენელმა ქ. ბ.-მ (ააიპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“) (განცხადებები N13664/20, N13684/20, N13948/20, N822/21, N1145/21, N2375/21, N5064/21). პროფესიონალი ქალი ფეხბურთელების განმარტებით, ფეხბურთით დაკავებული კაცებისგან განსხვავებით, ქალები ვერ სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით, არ აქვთ თანაბარი წვდომა რესურსებზე, შედეგად, უზიანდებათ ჯანმრთელობა და მცირდება მათი ცხოვრების ხარისხი.

#### I. ფაქტობრივი გარემოებები

##### 1.1. განმცხადებლების პოზიცია

ერთ-ერთი განმცხადებელი განმარტავს, რომ 2008 წლიდან იგი შეუერთდა ქალთა საფეხბურთო კლუბ „x“-ს, სადაც დღემდე პროფესიონალი მოთამაშის სტატუსი აქვს. კლუბის წინაშე მას აღებული აქვს ვალდებულება, რომ მონაწილეობა მიიღოს მის მიერ ჩატარებულ ნებისმიერ ოფიციალურ და არაოფიციალურ მატჩსა თუ ტურნირში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მისი განცხადებით, ქალი ფეხბურთელების ყოველდღიურობაში, ისევე, როგორც მამაკაცი ფეხბურთელების შემთხვევაში, ხშირია ტრავმები და ჯანმრთელობის მსუბუქი და მძიმე დაზიანება, როგორც ვარჯიშის დროს, ისე უშუალოდ მატჩის ან ტურნირის მიმდინარეობისას. თუმცა განსხვავებულია მიდგომები ქალი და კაცი ფეხბურთელების მიმართ. კერძოდ, კაც ფეხბურთელებთან მიმართებით დამკვიდრებულია გეგმიური სამედიცინო კვლევების პრაქტიკა, ასევე იმ შემთხვევაში თუკი ისინი ტრავმას მიიღებენ, საფეხბურთო კლუბები სამედიცინო პროცედურებს ფეხბურთელის სრულ გამოჯანმრთელებამდე აფინანსებს. ქალი ფეხბურთელების შემთხვევაში მსგავსი რამ გამორიცხულია, კერძოდ:

- მათ არ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა;

- ვერ იტარებენ გეგმიურ გამოკვლევებს;
- ქალების საფეხბურთო კლუბებს არ ჰყავთ ექიმი, რომელიც სამედიცინო კვლევების საჭიროებას განსაზღვრავდა. ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ადმინისტრაციულ პერსონალთან (განმცხადებლის შემთხვევაში დირექტორთან) კომუნიკაცია არის ერთადერთი გზა, რომ საჭირო სამედიცინო კვლევებისთვის შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ. მისი განმარტებით, ადმინისტრაციული პერსონალის არასამედიცინო განათლება, თითქმის გამორიცხავს დაფინანსების მიღების შესაძლებლობას.

ამგვარად, განცხადების მიხედვით, კლუბის მიერ დაქირავებული სპორტსმენის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა სრულად სპორტსმენის პასუხისმგებლობაა და აღნიშნულთან დაკავშირებით, ფორმალური შეთანხმების თანახმად, კლუბს ვალდებულებები არ გააჩნია. კერძოდ, კლუბსა და სპორტსმენს შორის ურთიერთობა რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და შინაგანაწესით. ხელშეკრულების თანახმად, კლუბი ვალდებულია შეუქმნას სპორტსმენს ნორმალური სამუშაო პირობები და გადაუხადოს ანაზღაურება, შინაგანაწესის თანახმად, კლუბს დაქირავებულთათვის შემოდებული აქვს საერთო აკრძალვები, რომლის თანახმად: „სპორტსმენი ვალდებულია მატჩისთვის მოემზადოს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად; გვერდი აუაროს ტრავმებს და ამისათვის სპორტსმენი ვალდებულია ჩაიტაროს ყველა დაცვითი საშუალება; სპორტსმენი ვალდებულია გაუფრთხილდეს თავის ჯანმრთელობას.“

როგორც განცხადებამია აღნიშნული, არსებული გარემოს გათვალისწინებით, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა პროფესიონალი ქალი ფეხბურთელის ხელფასი ძალიან დაბალია და მათ არ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა, აღნიშნული ტრავმები რთული გადასატანია და ხშირად მთელი ცხოვრება მიჰყვებათ მათ.

ერთ-ერთი განმცხადებელი ხსენებული ზოგადი პრობლემის მაგალითად საუბრობს პირად გამოცდილებაზე. იგი განმარტავს, რომ მას საფეხბურთო საქმიანობის შედეგად არაერთი ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა, თუმცა კლუბის მხრიდან დროულ ფინანსურ მხარდაჭერას ან საერთოდ ვერ იღებდა, ან არასრულად და არადროულად იღებდა. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ მის კლუბს არ ჰყავს ექიმი და ფეხბურთელებს არ უტარდებათ გეგმიური შემოწმებები, მას სთხოვენ, რომ ითამაშოს, რაც, ხელს უშლის მის გამოჯანმრთელებას. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის პრობლემის არასათანადოდ მოგვარებიდან გამომდინარე, მას მოუწია, უარი ეთქვა ეროვნულ ნაკრებში გამოცხადებაზე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მიმდინარე პერიოდისთვის სხვადასხვა მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ WISG მხარდაჭერით ჩაიტარა.

საქმეში არსებობს მეორე პროფესიონალი ქალი ფეხბურთელის იდენტური შინაარსის ახსნა-განმარტებაც, რომელიც მიუთითებს, რომ კლუბი არ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მათ სათანადო წვდომას, შესაბამისად, ვერ ახერხებენ თავიანთ ჯანმრთელობაზე

ზრუნვას, თამაშის ან ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმები ურთულდებათ და მათი ჯანმრთელობა ხშირად რისკის ქვეშ დგას.

მეორე ფეხბურთელს აქვს იმგვარი ისტორია, როდესაც 2018 წელს მიღებული ტრავმის მკურნალობაზე შესაბამისი რესურსების გამოყოფაზე კლუბმა უარი განაცხადა, შედეგად მას ტრავმა ქრონიკულ დაავადებაში გადაეზარდა. შემდგომში მან კიდევ მიიღო ტრავმა და სხვების დახმარებით მივიდა ექიმთან, რომელმაც მას თამაში კატეგორიულად აუკრძალა, თუმცა „ტრენერის დაჟინებული თხოვნით“ მან ითამაშა, თამაშისას გაუსაძლისი ტკივილის გამო ტრენერი მას ე.წ. გასაყინს ასხამდა, რაც ტკივილს აყურებდა და იგი თამაშობდა. ეს მეთოდი პერმანენტულად გამოიყენებოდა მის მიმართ, თუმცა თამაშების დასრულების შემდეგ მას აუტანელი, უფრო ინტენსიური ტკივილები ჰქონდა. 2019 წელს საქართველოს ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს, გაუსაძლისი ტკივილების გამო, კლუბმა იგი ექიმთან წაიყვანა და ასევე შეუძინა ექიმის გამოწერილი მალამო. მეორე განმცხადებელმა ამის შემდეგ 2020 წლის 5 დეკემბერს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ WISG დახმარებით, მიმართა ტრავმატოლოგს, რომელმაც დაადგინა, რომ ტრავმა ქრონიკული დაავადებაში გადაიზარდა, მას ესაჭიროება დამატებითი სამედიცინო საშუალებები.

განცხადებაში აღნიშნული პრობლემის სისტემური ხასიათის ჩვენების მიზნით, საქმეში წარმოდგენილია ასევე მესამე პროფესიონალი ქალი ფეხბურთელის ახსნა-განმარტებაც. მისი მიხედვით, მასაც სამი წლის წინ მიღებული აქვს ტრავმა და ჰქონდა ტკივილები, იგი ამის შესახებ მიმართავდა მწვრთნელს, რომელის ეუბნებოდა, რომ სამედიცინო მხარდაჭერის გარეშე გაივლიდა ტკივილები. თუმცა ამგვარად არ მოხდა და გაუსაძლისი ტკივილების გამო მან მიმართა საფეხბურთო კლუბის დირექტორს, შედეგად, მან ექიმთან გაიარა კონსულტაცია, ჩაუტარდა ფიზიოთერაპიის დაახლოებით 10 პროცედურა. აღნიშნული სერვისის საფასური კლუბმა დაფარა. მესამე განმცხადებელი ასევე საუბრობს ჯანმრთელობის სხვადასხვა გამოწვევაზე იმ პირობებში, როდესაც კლუბისგან სათანადო მხარდაჭერას ვერ იღებს. ფეხბურთელის განმარტებით, 2020 წლის 12 დეკემბერს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ WISG დახმარებით მიმართა ტრავმატოლოგს, ექიმის დასკვნის შესაბამისად, მას ესაჭიროება ქირურგიული და მედიკამენტოზური მკურნალობა, რომლის საფასურის გადახდაც არ შეუძლია.

განმცხადებელმა საქმის შესწავლის პროცესში ქალი ფეხბურთელების წინაშე არსებულ გამოწვევებზე სხვა კუთხითაც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, ქეთევან ბახტაძემ საქართველოს სახალხო დამცველს 2021 წლის 2 მარტს მოაწოდა დამატებითი განცხადება N2375/21, რომელშიც მიუთითებს ქალ ფეხბურთელებს შორის (აბსოლუტური უმრავლესობა ოთხი და მეტი წელია რომელიმე საფეხბურთო კლუბში თამაშობს) ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. განცხადების მიხედვით, შედეგებმა არაერთი პრობლემა გამოკვეთა, მათ შორისაა: გამოკითხულთა ნახევარზე მეტის განცხადებით, ჯანმრთელობის შემოწმების პროცედურები არ უტარდებათ; თითქმის სრული უმრავლესობა (82.8%) ვერ სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით; ქალი ფეხბურთელები ხშირ შემთხვევებში საკუთარ რეპროდუქციულ

ჯანმრთელობასაც უქმნიან საფრთხეს, რათა მათთვის დაკისრებული პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელი არ შეეშალოს (იღებენ შესაბამის მედიკამენტებს, რათა „მენტრუაცია არ მოსვლოდათ და ვარჯიშში/თამაშში ხელი არ შემლოდათ“).

## 1.2. მოპასუხის პოზიცია

საქართველოს სახალხო დამცველმა შესაბამისი მასალები გაუგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (შემდგომში - „სფფ“, „მოპასუხე“). სფფ-სგან აპარატმა მიიღო რამდენიმე საპასუხო წერილი.

სფფ-სგან საწყის ეტაპზე საქართველოს სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია წევრ საფეხბურთო კლუბებში ფეხბურთელებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის უზრუნველყოფის, დასაქმებული ექიმების ოდენობების, ვარჯიშის/თამაშის დროს სპორტსმენის მიერ მიღებული ტრავმების სამკურნალო პროცედურების ანაზღაურების, ფეხბურთელებისთვის ჯანმრთელობის რუტინულად შემოწმების შესახებ; რა სტანდარტებს აწესებდა სფფ ფეხბურთელთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით და როგორ უწყევდა იგი მათ შესრულებას ზედამხედველობას; როგორ მოქმედებდა სფფ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისთვის; შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები.

შემდგომ ეტაპზე მოპასუხისგან დაზუსტდა შემდეგი ინფორმაცია: რამდენადაც ეროვნული და უეფას ლიცენზირების ფარგლებში როგორც ქალების, ისე კაცების კლუბებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ძირითად გუნდში თამაშის უფლების მქონე ყველა ფეხბურთელის ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება, როგორ კონტროლდება ამ სტანდარტთან შესაბამისობა (მაგალითად, რა ტიპის გამოკვლევებია საჭიროა; რომელი სამედიცინო სპეციალისტის მიერ); მოპასუხეს ეთხოვა დაეზუსტებინა, უზრუნველყოფდა თუ არა იგი რაიმე კუთხით საქართველოს კანონიდან „სპორტის შესახებ“ შემდეგი დებულების შესრულებას: „შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც აფორმებს პროფესიონალი სპორტსმენი, სპორტში მოღვაწეობისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის პირობებთან ერთად უნდა შეიცავდეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის პირობებს“.

განმცხადებლის მიერ 2021 წლის 2 მარტს მოწოდებულ დამატებით N2375/21 განცხადებაზე რეაგირების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა სფფ-სგან შემდეგი ინფორმაცია გამოითხოვა: რამდენადაც ფედერაცია კლუბების მედპერსონალს პერიოდულად სამედიცინო სემინარებს უტარებს, ხოლო 2021 წლიდან ეროვნული და უეფას ლიცენზირების ფარგლებში ქალების კლუბებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ძირითად გუნდში თამაშის უფლების მქონე ყველა ფეხბურთელის ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება, აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორია შესაბამისი სამედიცინო სემინარების შინაარსი - არის თუ არა მასში შესაბამისი აქცენტი ქალი ფეხბურთელების რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე; აქვთ თუ არა დაგეგმილი ქალი ფეხბურთელების რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ქალ ფეხბურთელებს შორის ცნობიერების ამაღლების რაიმე ღონისძიება. გარდა ამისა, ფედერაციასთან დაზუსტდა, ხომ არ ხელმძღვანელობდნენ რაიმე დოკუმენტით, სადაც

გაწერილი იქნებოდა ქალი ფეხბურთელების/სპორტსმენების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არსებული საჭიროებების შესახებ.

სფფ-ს წერილის მიხედვით, ფედერაცია კლუბებს არ ავალდებულებს ფეხბურთელების ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით უზრუნველყოფას, აღნიშნულ საკითხს კლუბები, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები (იურიდიული პირები), წყვეტენ.<sup>1</sup>

რაც შეეხება სფფ-ს წევრ საფეხბურთო კლუბებში დასაქმებული ექიმების საკითხს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის „კლუბების ლიცენზირების დებულების“ თანახმად, საქართველოს ჩემპიონატის ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ეროვნულ ლიგა 3-სა და ქალთა ლიგაში მონაწილე კლუბებს (ე.წ. ლიცენზირებადი ლიგები) მოეთხოვებათ ჰყავდეთ მინიმუმ ერთი კვალიფიციური ექიმი და ფიზიოთერაპევტი. ექიმი პასუხისმგებელია მატჩებისა და ვარჯიშების დროს სამედიცინო მხარდაჭერაზე, ასევე დოპინგის პრევენციაზე, ხოლო ფიზიოთერაპევტი პასუხისმგებელია გუნდის მკურნალობასა და მასაჟზე. 2020 წლიდან ლიცენზირებად ლიგებს დაემატა ქალთა ლიგაც, შესაბამისად, ქალთა კლუბებისთვის 2021 წლის ჩემპიონატისთვის სავალდებულო გახდა ექიმისა და ფიზიოთერაპევტის ყოლა. აქვე სფფ აღნიშნავს, რომ იგი არის ერთ-ერთი პირველი ფედერაცია, რომელმაც ქალთა ჩემპიონატში მონაწილეობისთვის კლუბები ლიცენზირება დანერგა.<sup>2</sup>

ფედერაციის წერილის მიხედვით, კლუბების მხრიდან ვარჯიშის/თამაშის დროს სპორტსმენის მიერ მიღებული ტრავმების სამკურნალო პროცედურებისთვის, მკურნალობისთვის კლუბების მხრიდან დაფინანსების საკითხი სრულად კლუბების კომპეტენციაა და წარმოადგენს კლუბის, როგორც დამსაქმებლის და ფეხბურთელის, როგორც დასაქმებულის ინდივიდუალური შეთანხმების საგანს.<sup>3</sup> გარდა ამისა, სფფ აფიქსირებს პოზიციას, რომ კლუბებსა და სპორტსმენს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოს შრომის კოდექსი. კოდექსის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დამსაქმებლის ვალდებულებას წარმოადგენს დასაქმებულს სრულად აუნაზღაუროს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი.<sup>4</sup>

ფედერაციის წერილში საუბარია, რომ ეროვნული და უეფას ლიცენზირების ფარგლებში როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა კლუბებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ძირითად გუნდში თამაშის უფლების მქონე ყველა ფეხბურთელის ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება.<sup>5</sup>

წერილში აღნიშნულია, რომ სფფ-ს სამეჯიბრო დეპარტამენტი ჩემპიონატში მონაწილე კლუბებისგან ითხოვს სამედიცინო შემოწმების წარდგენას. სამედიცინო შემოწმება ადასტურებს, რომ ფეხბურთელი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე,

<sup>1</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

<sup>2</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

<sup>3</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

<sup>4</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 12 მარტის წერილი #110

<sup>5</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

დაშვებულია შეჯიბრებაზე. გარდა ამისა, ფედერაცია კლუბების მედპერსონალს პერიოდულად უტარებს სამედიცინო სემინარს. სხვა სახის ზედამხედველობას ფეხბურთის ფედერაცია არ ახორციელებს.<sup>6</sup>

სფფ-ს წერილის მიხედვით, იგი 2015 წლიდან ჩართულია უფასო „EQUAL Game“ პროგრამაში, რაც მიზნად ისახავს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ ჩართულობას ფეხბურთში. სფფ-ს მიერ ორგანიზებული პროექტები, როგორც პროფესიულ, ისე სამოყვარულო დონეზე, დაფუძნებულია თანასწორობის პრინციპზე. 2018 წლიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად თანამშრომლობს გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისთან (UNFPA). თანამშრომლობა მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის იდეისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. პარტნიორობის ფარგლებში რეგულარულად იმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, რომლის მიზანია ფეხბურთში გოგონების ჩართულობის წახალისება, როგორც გოგონებისა და ბიჭებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის და სპორტში თანასწორობის დამკვიდრების საშუალება. სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულების თანახმად, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა კლუბებს მოეთხოვებათ შემუშავებული ჰქონდეთ რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.<sup>7</sup> აღნიშნული მოთხოვნა კი წარმოადგენს სანქცირებად კრიტერიუმს.<sup>8</sup>

რაც შეეხება მოპასუხის მიერ მოწოდებულ უშუალო სტატისტიკურ მონაცემებს, ლიცენზირების პროცესში მონაწილეობა მიიღო ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ლიგა 3-ში და ლიგა 4-ში მოასპარეზე 46-მა საფეხბურთო მამაკაცთა გუნდმა და ქალთა ლიგის 14-მა საფეხბურთო გუნდმა. აქედან შესაბამისი ლიცენზია მიენიჭა ეროვნული ლიგა, ეროვნული ლიგა 2, ლიგა 3-ის და ლიგა 4-ის 35 საფეხბურთო გუნდს და ქალთა ლიგაში მოასპარეზე 9 გუნს, რომელთაც დააკმაყოფილეს კლუბების ლიცენზირების დებულებების განსაზღვრული კრიტერიუმები. რაც შეეხებათ ზემოაღნიშნულ ლიგებში მოასპარეზე დანარჩენ კლუბებს, მათ უარი ეთქვათ ლიცენზირებაზე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო.<sup>9</sup>

2020 წლის სეზონზე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს სამ ლიგაში მონაწილეობა მიიღო 30-მა საფეხბურთო კლუბმა, ასევე 866-მა კაცმა ფეხბურთელმა, ხოლო ქალთა ჩემპიონატზე მონაწილეობა მიიღო 14 საფეხბურთო გუნდმა და 288 ქალმა ფეხბურთელმა. წერილის მოწოდების ეტაპზე სფფ ამზადებდა „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნება კლუბებისა და ფეხბურთელების შესახებ სტატისტიკური მონაცემები.<sup>10</sup>

<sup>6</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

<sup>7</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

<sup>8</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 12 მარტის წერილი #110

<sup>9</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

<sup>10</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

სფფ აღნიშნავს, რომ ევროპული ქვეყნების კაცთა და ქალთა კლუბების/გუნდების ლიცენზირების მოთხოვნები ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან მათი სპორტული და კომერციული განვითარების დონიდან გამომდინარე.<sup>11</sup>

სამედიცინო სემინარების შინაარსთან დაკავშირებით სფფ მიუთითებს, რომ იგი კლუბების სამედიცინო პერსონალისთვის სემინარებს ატარებს უფასო საფეხბურთო ექიმა განათლების პროგრამის შესაბამისად. სემინარი ძირითადად მოიცავს სამედიცინო დახმარების და სპორტულ ტრავმებთან დაკავშირებულ საკითხებს. ფედერაციას არ აქვს დაგეგმილი რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ქალ ფეხბურთელებს შორის ცნობიერების ამაღლების რაიმე ღონისძიება.<sup>12</sup>

### **1.3. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია**

საქართველოს სახალხო დამცველმა განმცხადებლის მიერ დაყენებული საკითხები შეისწავლა კომპლექსურად და ინფორმაცია დააზუსტა არამხოლოდ მოპასუხესთან, არამედ კაცთა საფეხბურთო კლუბებთან, ქალთა საფეხბურთო კლუბებთან და საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებთან. თავის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცხადია, რომ განცხადებაში დასმულ რიგ გამოწვევებს განაპირობებს/ამძაფრებს ქალთა ფეხბურთის ნაკლებ პოპულარობა და დაბალი შემოსავლიანობა კაცთა ფეხბურთთან შედარებით (რაც არამხოლოდ საქართველოს მახასიათებელია). საქართველოს სახალხო დამცველის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა გამოეკვეტა ის საკითხები, რაც აღნიშნული განმარტებლის გათვალისწინებით, მხოლოდ კერძო სექტორის საქმიანობას არ წარმოადგენს.

#### *1.3.1. საფეხბურთო კლუბების მიერ მოწოდებული ინფორმაცია*

საქართველოს სახალხო დამცველმა შესაბამისი წერილი მიიღო საფეხბურთო კლუბ ლოკომოტივისგან. კერძოდ, წერილში აღნიშნულია, რომ საფეხბურთო კლუბი თბილისის ლოკომოტივი დღეისათვის არ თანამშრომლობს არც ერთ სადაზღვევო კომპანიასთან, სპორტული ტრავმებისა და მკურნალობის სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა მიმდინარეობს რამდენიმე კომპანიასთან მოლაპარაკება და სპორტისთვის ხელსაყრელი პაკეტების შექმნა; მთავარ გუნდზე მიმაგრებულია ერთი ექიმი და ორი ფიზიოთერაპევტი. სხვა ასაკობრივ გუნდებთან მიმაგრებულია 1 ექიმი და 1 ფიზიოთერაპევტი. რაც შეეხება ვარჯიშის და მატჩის დროს მიღებულ ტრავმებს, ყველა სახის ტრავმის კვლევა და მკურნალობა ფინანსდება კლუბის მხრიდან. ტრავმის დროს კლუბის ექიმის გადაწყვეტილებით ხდება საჭირო კვლევების ჩატარება და შესაბამისი მკურნალობის დაგეგმარება. საჭიროებისამებრ სხვადასხვა პროფილის ექიმებთან კონსულტაცია. ყოველ 6 თვეში ერთხელ უტარდებათ ფეხბურთელებს რუტინული სამედიცინო შემოწმება (მუცლის ღრუს ექოსკოპია, გულმკერდის

<sup>11</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის წერილი #5

<sup>12</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 7 აპრილის წერილი #183

ექოსკოპია, სპირომეტრია, სპიროერგომეტრია, ანალიზები და იმ დროისთვის საჭირო დამატებითი კვლევები.)

მათი განმარტებით, პროფესიონალ ფეხბურთელებთან მიმართებაში ჯანდაცვის პოლიტიკა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობისა და კლუბსა და ფეხბურთელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების დებულებებით, რომლის შესაბამისი დებულებაც შემდეგნაირად გამოიყურება:

- თუ „ფეხბურთელი“ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღებს ტრავმას ან ჯანმრთელობა მას საშუალებას არ მისცემს შეასრულოს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი მოვალეობანი, იგი ვალდებულია გაიაროს სამედიცინო შემოწმება „კლუბის“ მიერ დანიშნულ ექიმთან. რადგან ასეთი შემოწმება „კლუბის“ მოთხოვნით ტარდება, შემოწმების ხარჯებს იხდის „კლუბი“.
- იმ შემთხვევაში, თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმის გამო ფეხბურთელი ვერ იღებს მონაწილეობას ვარჯიშებში ან/და მატჩებში, მაშინ „კლუბი“ ფეხბურთელს აუნაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა პასუხი მიიღო ასევე საფეხბურთო კლუბ გორის დილასგან.<sup>13</sup> მასში მითითებულია, რომ ფეხბურთელების ჯანმრთელობის ინდივიდუალური პაკეტების ნაცვლად გამოიყენება, ფეხბურთელთან კონტრაქტით გათვალისწინებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მისთვის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ყველა ხარჯების კლუბის მიერ უზრუნველყოფას; კლუბში დასაქმებულია ერთი ექიმი და ორი ფიზიოთერაპევტი; ფეხბურთელები პერიოდულად გადიან ჯანმრთელობის მდგომარეობის საერთო გამოკვლევას; ფეხბურთელების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა დეტალი გაწერილია ინდივიდუალურ კონტრაქტებში.

### *1.3.2. სადაზღვევო კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაცია*

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა ასევე ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში არსებული მდგომარეობა.<sup>14</sup> კერძოდ, აპარატმა სადაზღვევო კომპანიებისგან გამოითხოვა ინფორმაცია ფეხბურთელთა ინდივიდუალური სადაზღვევო პაკეტების შესახებ (რა საკითხებს ფარავდა კომპანიების მიერ ქალებისთვის შეთავაზებული ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტები (სამედიცინო გამოკვლევების თუ მედიკამენტების დაფინანსება)).

<sup>13</sup> შპს „გორის დილას“ 2021 წლის 6 იანვრის წერილი #001

<sup>14</sup> ამ მოკვლევის მიზანია ქალი ფეხბურთელების წინაშე არსებული მდგომარეობის, კონტექსტის შესწავლა და სახალხო დამცველის აპარატი ამ კომპანიებთან ურთიერთობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის როლს არ ხედავს.



პირველი<sup>15</sup> სადაზღვევო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჯანმრთელობის დაზღვევის ინდივიდუალურ პირობებში პროფესიული სპორტი გამონაკლისის წარმოადგენს და არ ანაზღაურდება.

მეორე სადაზღვევო კომპანიის წერილის თანახმად, კომპანიას არ ჰქონია ჯანმრთელობის ინდივიდუალური დაზღვევის კონკრეტული შეთავაზება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის (მათ შორის, ფეხბურთის შემთხვევაში), რადგან მზღვეველი ინდივიდუალურად მსჯელობს რისკების თაობაზე და შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გამოსათვლელად ხელმძღვანელობს ისეთი მახასიათებლებით, როგორც არის მომხმარებლის მოთხოვნები, ასაკობრივი ცენზი, დაზღვეულის საქმიანობა, ხოლო სპორტის შემთხვევაში, სპორტის სახეობა, ტრავმების სიხშირე და ა.შ.

მესამე სადაზღვევო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ისინი მხოლოდ კორპორატიულ დაზღვევებზე მუშაობენ და შესაბამისი პერიოდისთვის ერთ-ერთ ქალთა საფეხბურთო კლუბისთვის ჰქონდათ შეთავაზება გაკეთებული. კომპანიის განმარტებით, სადაზღვევო პაკეტიები ქალ და კაც ფეხბურთელთა გუნდებისთვის ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

მეოთხე სადაზღვევო კომპანიამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, ფასთა გამოკითხვის მიზნით, გამოითქვა ინტერესი როგორც კაცთა, ასევე ქალთა საფეხბურთო გუნდების დაზღვევის თაობაზე. მათ შეიმუშავეს სპეციალური დაზღვევის შეთავაზება, რომელიც იდენტური იყო როგორც ქალთა, ასევე კაცთა კლუბებისთვის, მათ შორის, სპორტული ტრავმების მიმართულებითაც.

ამგვარად, საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიუთითებს, კომპანიები ინდივიდუალურად არ აზღვევენ პროფესიონალ ფეხბურთელებს, სავარაუდოდ, მათი ტრავმების მიმართ განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ინფორმაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ თუკი სადაზღვევო კომპანიები სთავაზობენ ან გამოთქვამენ მზაობას, რომ ქალი ფეხბურთელები დააზღვიონ, როგორც წესი, ეს ნიშნავს, რომ სამედიცინო პაკეტიები, როგორც ქალი, ასევე კაცი ფეხბურთელისთვის ერთნაირია.

## II. სამართლებრივი დასაბუთება

### 2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრულია თანასწორობის უფლება. უფრო კონკრეტულად: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის,

---

<sup>15</sup> დოკუმენტში სადაზღვევო კომპანიებს აქვთ პირობითი ნუმერაცია, რადგან რეკომენდაციის მიზნებისთვის მათი დასახელება არ არის რელევანტური.

რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.<sup>16</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამგვარად, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას: (ა) არსებობს განსხვავებული მოპყრობა არსებითად ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია; ან (ბ) არსებობს თანაბარი მოპყრობა არსებითად არათანაბარ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, თანაბარ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „თანასწორობის უფლების შეზღუდვას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამკარაა არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა (ან არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა)“.<sup>17</sup> ამდენად, უნდა დადგინდეს შესაბამისი კანონმდებლობა იწვევს თუ არა არსებითად თანასწორი პირების ამკარა და გაუმართლებელ დიფერენცირებას.

ანალოგიური მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. კერძოდ, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე. ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ

<sup>16</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება, II. პ. 10

არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.<sup>18</sup>

## 2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაში ხელი შეეშალათ განმცხადებლებს

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც პირს ხელი შეეშალა. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს დაყენებული აქვს ერთი ორი პრობლემური საკითხი: ერთი, რომ ფეხბურთით დაკავებული კაცებისგან განსხვავებით, ქალები ვერ სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით, არ აქვთ თანაბარი წვდომა რესურსებზე, შედეგად, უზიანდებათ ჯანმრთელობა და მცირდება მათი ცხოვრების ხარისხი; მეორე, რომ ქალების სპეციალური საჭიროებები, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით, სფფ-ს არსებულ რეგულაციებში არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს სახალხო დამცველის მოცემული რეკომენდაციის ფარგლებში აღარ შეაფასებს განმცხადებლების მიერ დაყენებულ საკითხს იმის თაობაზე, რომ ფეხბურთით დაკავებული კაცებისგან განსხვავებით, ქალები ვერ სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით, არ აქვთ თანაბარი წვდომა რესურსებზე, შედეგად, უზიანდებათ ჯანმრთელობა და მცირდება მათი ცხოვრების ხარისხი. აღნიშნული გამოწვევა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან უკვე აღმოფხვრილია. უფრო კონკრეტულად, 2020 წლიდან ლიცენზირებად ლიგებს დაემატა ქალთა ლიგაც, შესაბამისად, ქალთა კლუბებისთვის 2021 წლის ჩემპიონატისთვის სავალდებულო გახდა ექიმისა და ფიზიოთერაპევტის ყოლა. ამგვარად, მოცემული ეტაპისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის „კლუბების ლიცენზირების დებულების“ თანახმად, საქართველოს ჩემპიონატის ეროვნულ ლიგაში, ეროვნულ ლიგა 2-ში, ეროვნულ ლიგა 3-სა და ქალთა ლიგაში მონაწილე კლუბებს (ე.წ. ლიცენზირებადი ლიგები) მოეთხოვებათ ჰყავდეთ მინიმუმ ერთი კვალიფიციური ექიმი და ფიზიოთერაპევტი. ექიმი პასუხისმგებელია მატჩებისა და ვარჯიშების დროს სამედიცინო მხარდაჭერაზე,<sup>19</sup> ასევე დოპინგის პრევენციაზე, ხოლო ფიზიოთერაპევტი პასუხისმგებელია გუნდის მკურნალობასა და მასაჟზე.<sup>20</sup> ამგვარად, ამ თვალსაზრისით სფფ-ს მიდგომა იდენტურია ქალი და კაცი ფეხბურთელების მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველი შეაფასებს არის თუ არა დისკრიმინაციული განმცხადებლების მიერ დაყენებული პრობლემა, რომ ქალების სპეციალური საჭიროებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ რეგულაციებში არასაკმარისად არის გათვალისწინებული. არასათანადო

<sup>18</sup> *Eweida and others v. United Kingdom*, App. Nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, § 87-88 (15/01/2013, ECtHR); *Burden v. United Kingdom*, App. No. 13378/05, § 60 (29/04/2008, ECtHR).

<sup>19</sup> კლუბების ლიცენზირების დებულებები 2021, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, 31-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: [https://www.gff.ge/sites/default/files/2021-06/GFF%20CL%20Regulations%202021\\_N.pdf](https://www.gff.ge/sites/default/files/2021-06/GFF%20CL%20Regulations%202021_N.pdf)

<sup>20</sup> კლუბების ლიცენზირების დებულებები 2021, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, 32-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: [https://www.gff.ge/sites/default/files/2021-06/GFF%20CL%20Regulations%202021\\_N.pdf](https://www.gff.ge/sites/default/files/2021-06/GFF%20CL%20Regulations%202021_N.pdf)

რეგულაციით ხდება ჩარევა, პირველ რიგში, ჯანმრთელობის დაცვის უფლებაში, ასევე ამას აქვს შესაბამისი ეფექტი სხვა უფლებებზე, მათ შორისაა, შრომის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციაში გარანტირებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება.<sup>21</sup> კერძოდ, კონსტიტუციური ჩანაწერის მიხედვით, მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობაზე უზრუნველყოფილია კანონით.

ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან მიმართებით აღსანიშნავია საერთაშორისო სტანდარტი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტების მიხედვით, ჯანმრთელობა არის ერთიანობაში ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა.<sup>22</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მე-14 ზოგადი კომენტარის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზება არსებითად უკავშირდება სხვა ძირითად უფლებებს, მათ შორისაა, მუშაობის, განათლების, ღირსების, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები.<sup>23</sup> ამავე კომიტეტის განმარტებით, ჯანმრთელობის უფლება არაერთ თავისუფლებასა და ვალდებულებას მოიცავს. თავისუფლებებს შორის უნდა ითქვას პირის უფლება, რომ თავად აკონტროლოს მისი ჯანმრთელობა და სხეული, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული თავისუფლება, ასევე მასში იგულისხმება უფლება, რომ პირი თავისუფალი იყოს წამების, თანხმობის გარეშე სამედიცინო მკურნალობისა და ექსპერიმენტისგან. უფლების პოზიტიური, ვალდებულებითი მხარე მოიცავს პირებისთვის ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე თანაბარ წვდომას.<sup>24</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე წვდომის ნაწილი არ მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებას, რომლის მასშტაბის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი სახელმწიფოს რესურსები, არამედ იგი მიემართება სერვისებსა და პროდუქტებსაც.<sup>25</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროპის სოციალური ქარტიით გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება, რომელიც მოიცავს, მაგალითად, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წახალისებისათვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას.<sup>26</sup> გარდა ამისა, ქარტია ფარავს დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლებასაც, შესაბამის აქცენტს აკეთებს მათ ორსულობის პერიოდსა და შესაბამისი შვებულებით სარგებლობის საკითხზე.<sup>27</sup>

<sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 28-ე მუხლი

<sup>22</sup> Constitution of the World Health Organization, Preamble. ხელმისაწვდომია: [https://www.who.int/governance/eb/who\\_constitution\\_en.pdf](https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf)

<sup>23</sup> CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12), para. 3

<sup>24</sup> CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12), para. 8

<sup>25</sup> CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12), para. 9

<sup>26</sup> ევროპის სოციალური ქარტია (განახლებული), მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>27</sup> ევროპის სოციალური ქარტია (განახლებული), მე-8 მუხლი

განმცხადებლების მიერ აღწერილ ვითარებას არსებითი ეფექტი აქვს შრომის უფლებაზე. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციაში 2017-2018 წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად, შრომის უფლების კუთხით გაჩნდა შემდეგი ჩანაწერი: „უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით დაცულია შრომის თავისუფლება, რაც გულისხმობს პირის შესაძლებლობას, თავად აირჩიოს, თუ სად სურს მუშაობა, სამუშაო პროცესში დაცული იყოს მისი უსაფრთხოება, ღირსეულ პირობებში განახორციელოს საკუთარი პროფესიული საქმიანობა... ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანული კანონით უნდა ხდებოდეს შრომის უსაფრთხო პირობებისა და სხვა შრომითი უფლებების დაცვა.<sup>28</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (საქართველოს კონსტიტუციის 2017-2018 წლების რეფორმამდელი რედაქციის საფუძველზე), შრომის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური ჩანაწერით, დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელოს, შეინარჩუნოს და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.<sup>29</sup>

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამავე პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები. საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს შრომის უფლების შესახებ განახლებულ ევროპის სოციალურ ქარტიაში არსებული მუხლების ნაწილი.<sup>30</sup>

განსახილველ შემთხვევაში, პროფესიონალ ქალ ფეხბურთელებს არ მიეცათ საშუალება, სათანადოდ ესარგებლათ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო დოკუმენტების გარანტირებული ჯანმრთელობის დაცვის უფლებით, ასევე შრომის უფლებით. შემდგომ

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება, II-68

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება, II-19

<sup>30</sup> ინფორმაცია ევროპის სოციალური ქარტიის (განახლებული) დებულებების აღიარების შესახებ (ქვეყნების მიხედვით) დეტალური ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680630742>

ეტაპებზე სახალხო დამცველი განიხილავს შესაძარებელი პირების საკითხს და უფლებაში ჩარევის (შეზღუდვის) პროპორციულობას.

### 2.3. არსებითად უთანასწორო პირების თანასწორად განხილვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.<sup>31</sup> თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.<sup>32</sup>

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი/უთანასწორო სუბიექტები.<sup>33</sup> კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორობის უთანასწოროდ და უთანასწორობის თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.<sup>34</sup>

ზოგადი თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში ქალების ფეხბურთის მეტად განვითარებამ ხელშესახები გახადა ის უთანასწორობა, რასაც ქალები აწყდებიან ამ სფეროში.<sup>35</sup> უთანასწორობის მასშტაბი გამოხატულია სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, გენდერული სახელფასო სხვაობის მაღალ მაჩვენებელში.<sup>36</sup> ქალებს ყოველდღიურად უწევთ არაერთი სტერეოტიპის რღვევა, რომ, მაგალითად, საზოგადოებაში მათი როლი მხოლოდ სოციალური არ არის, ასევე სპორტის სახეობები გენდერული თვალსაზრისით არ იყოფა. სპორტში ქალების განსაკუთრებული საჭიროებები ვლინდება რეპროდუქციული მიმართულებით, დედობის უფლების რეალიზებისას. ამ კუთხით ისინი კაცი ფეხბურთელებისგან არსებითად განსხვავდებიან.

ქალი ფეხბურთებისა და კაცი ფეხბურთელების არსებითი უთანასწორობა (რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და დედობის უფლებით სარგებლობის კრიტერიუმით) არასათანადოდაა გათვალისწინებული საქართველოში. ეს გამოიხატება ერთი მხრივ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ არასაკმარისი რეგულაციების დაწესებაში და მეორე მხრივ, ეს იკვეთება სადაზღვევო ბაზრის ანალიზისას. სფფ ამ საკითხებზე სპეციალურ ღონისძიებებს არ ატარებს,

<sup>31</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3.

<sup>32</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1.

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19.

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

<sup>35</sup> Women and football: #ChangeTheGame - towards gender equality in sports. ხელმისაწვდომია: <https://en.unesco.org/news/women-and-football-changethegame-towards-gender-equality-sports>

<sup>36</sup> Making equality a reality Remarks by UN Women Deputy Executive Director Lakshmi Puri at FIFA conference on 6 March, 2017. ხელმისაწვდომია: <https://www.unwomen.org/en/news/stories/2017/3/speech-ded-puri-at-fifa-making-equality-a-reality>



ასევე არ ითვალისწინებს სანქციებად წესებს. გარდა ამისა, სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათ მიერ შეთავაზებული ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი კაცთა და ქალთა საფეხბურთო კლუბებისთვის იდენტურია. აღსანიშნავია, რომ ქალი ფეხბურთელების მიმართ ისედაც მოქმედებს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი სამართლებრივი გარანტიები, თუმცა საკითხის სპეციფიკურობა ქალი ფეხბურთელების წინაშე არსებულ ზოგიერთ გამოწვევას ღიად ტოვებს.

ცხადია, რომ ქალი ფეხბურთელები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და დედობის უფლებასთან მიმართებით არ არიან კაცებთან მიმართებით არსებითად თანასწორები, ამ დროს როგორც სფფ, ასევე სადაზღვევო კომპანიები (ძირითად შემთხვევებში) მათ თანასწორად ხედავს.

ამგვარად, იმ პირობებში, როდესაც სახალხო დამცველი ქალ ფეხბურთელებს კაცი ფეხბურთელებისგან არსებითად უთანასწოროდ განიხილავს, ეს არ უნდა იყოს აღქმული, რომ ქალები არიან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებლები. ამ რეკომენდაციაში საქართველოს სახალხო დამცველი იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს დედობის გამო შვებულებას, მამობის გამო შვებულებას და მშობლობის გამო შვებულებას. დედობის გამო შვებულებაში გულისხმობენ [საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ] ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებას, მამობის გამო შვებულებაში ბავშვის გაჩენის შემდგომ პერიოდს [შვებულების ამ ფორმას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს], ხოლო მშობლობის გამო შვებულება ორივე მშობელს მიემართება და ფარავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვის მოვლის გამო შვებულების ცნებას. თავის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღება, თანამედროვე, გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი გაგებით, არის ორივე მშობლის უფლება და მოვალეობა. ეს მიდგომა გათვალისწინებულია საერთაშორისო, შესასრულებლად სავალდებულო სტანდარტების დონეზეც, მაგალითად, ევროკავშირის 2019/1158 დირექტივა თითოეული მშობლისთვის ცალ-ცალკე ითვალისწინებს მინიმუმ 4 თვიან საშვებულებო ვადას, საიდანაც სულ მცირე ორ თვეს ექსკლუზიურად ერთი მშობელი იყენებს, ხოლო ორი თვე შესაძლებელია იყოს მეორე მშობლისთვის გადაცემული.<sup>37</sup> თითოეული მშობლის ორთვიანი ექსკლუზიური შვებულება სათანადოდ უნდა იყოს ანაზღაურებული, რათა მშობლის მიერ მისი გამოყენება წახალისდეს.<sup>38</sup> მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს ამავე დირექტივით განახლებული სტანდარტი მამობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით. დოკუმენტით დადგინდა მამობის გამო შვებულება<sup>39</sup>, რომელიც მეორე მშობელს შეუძლია აიღოს ბავშვის დაბადებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მამობის გამო შვებულება ანაზღაურებადია მინიმუმ შრომისუუნარობისთვის დადგენილი ეროვნული

<sup>37</sup> Directive (EU) 2019/1158 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on work-life balance for parents and carers and repealing Council Directive 2010/18/EU, Art. 5

<sup>38</sup> Directive (EU) 2019/1158 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on work-life balance for parents and carers and repealing Council Directive 2010/18/EU, Art. 8 (3)

<sup>39</sup> ორიგ. paternity leave

ტარიფის მიხედვით. წევრმა სახელმწიფოებმა 2022 წლის 2 აგვისტომდე უნდა ამოქმედონ კანონი, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც ამ დირექტივის მოთხოვნებთან იქნება თანხვედრაში.

#### **2.4. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება**

მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში არ ხდებოდეს დისკრიმინაციული დიფერენციაცია. ხსენებულ საქმეში რამდენად არის ობიექტური გარემოებით განპირობებული განსხვავება, უნდა დადგინდეს უფლების შეზღუდვის თანაზომიერების ანალიზისას.

##### *2.4.1. ლეგიტიმური მიზანი*

მოცემული საქმის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ არ არსებობს სათანადო რეგულაციები, რომლებიც ქალი ფეხბურთელების რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისკენ ან დედობის უფლების რეალიზებისკენ იქნება მიმართული. ამ კუთხით გარკვეული რეგულაციების დამდგენი ორგანო შესაძლებელია იყოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებას ახორციელებს.

სამედიცინო სემინარების შინაარსთან დაკავშირებით სფფ მიუთითებს, რომ იგი კლუბების სამედიცინო პერსონალისთვის სემინარებს ატარებს უფასო საფეხბურთო ექიმთა განათლების პროგრამის შესაბამისად. სემინარი ძირითადად მოიცავს სამედიცინო დახმარების და სპორტულ ტრავმებთან დაკავშირებულ საკითხებს. ფედერაციას არ აქვს დაგეგმილი რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ქალ ფეხბურთელებს შორის ცნობიერების ამაღლების რაიმე ღონისძიება.<sup>40</sup>

ამგვარად, ის გარემოება, რომ გენდერულად სენსიტიური რეგულაციები არ აქვს სფფ-ს გამომდინარეობს იქიდან, რომ, მათი ხედვით, ეს არ შედის მათ კომპეტენციაში ან/და არ დგას ამის საჭიროება.

##### *2.4.2. ობიექტური და გონივრული გამართლება*

###### *2.4.2.1. ქალების ფეხბურთი საქართველოში - კონტექსტის მიმოხილვა*

ზოგადი თვალსაზრისით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2021 წლის მონაცემებით გლობალური გენდერული სხვაობის ინდექსით საქართველო 54-ე, ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების კრიტერიუმით - 41-ე, განათლების მიღწევადობის კუთხით - 28-ე, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის კომპონენტის მიხედვით - 115-ე, ხოლო პოლიტიკური გაძლიერების თვალსაზრისით - 59-ე ადგილზეა.<sup>41</sup>

<sup>40</sup> საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 7 აპრილის წერილი #183

<sup>41</sup> Global Gender Gap Report 2021, World Economic Forum, March 2021. ხელმისაწვდომია: [https://www3.weforum.org/docs/WEF\\_GGGR\\_2021.pdf](https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2021.pdf)



უშუალოდ ქალთა ფეხბურთის საქართველოში არაერთი გამოწვევა აქვს. აღნიშნული პრობლემები ზოგ შემთხვევაში სტერეოტიპებიდან გამომდინარეობს, ზოგიერთ ვითარებაში კი ფეხბურთის პოლიტიკისა და ეკონომიკური მდგომარეობით აიხსნება. ქალ ფეხბურთელებს, როგორც სპორტსმენებს მუდმივად უწევთ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების წინააღმდეგ გალაშქრება და იმის მტკიცება, რომ ფეხბურთი მხოლოდ კაცების სპორტი არ არის.<sup>42</sup> ეს გარემოება აისახება შესაბამის გენდერულ დისბალანსშიც.<sup>43</sup> უშუალოდ სპორტული კონტექსტით განპირობებული სტერეოტიპების გარდა, ქალ ფეხბურთელებს უწევთ იმ ზოგად სტერეოტიპთან ბრძოლა, რომელიც ქალებისთვის ოჯახში მზრუნველის როლს აწესებს.

აღსანიშნავია, რომ ამ წლის 31 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე წარადგინეს გოგონათა და ქალთა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლებისთვის, რომლის წარდგენისას სტერეოტიპული გარემოს გარდა, ქალთა ფეხბურთის მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ფეხბურთის ხელმისაწვდომობა, ქალი ფეხბურთელების არასაკმარისი ანაზღაურება. ამ უკანასკნელს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ქალთა კლუბები უმეტესად მუნიციპალიტეტების ბალანსზეა, რომლის რესურსები არასაკმარისია.<sup>44</sup>

გამოწვევებზე საუბრისას აღსანიშნავია უშუალოდ ქალი ფეხბურთელების პერსპექტივა. მაგალითად, ერთ-ერთი ფეხბურთელის განმარტებით, „ქალთა ფეხბურთში ძირითადად კაცები არიან დასაქმებული როგორც მწვრთნელების პოზიციაზე, ისე უფრო მაღალ, გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე. ეს ფაქტორები კიდევ უფრო ართულებს ფეხბურთის სფეროში დემოკრატიული, არაელიტური და თანასწორი ღირებულებების დამკვიდრებას“.<sup>45</sup> აღნიშნულ გამოწვევაზე უთითებს ასევე „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი. მისი მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობის პრობლემა არსებობს ეროვნულ და საერთაშორისო სტრუქტურებში, რის განმაპირობებელ ფაქტორადაც მითითებულია სპორტში კაცების მეტად ჩართულობა, რამდენად, როგორც წესი, ამგვარ სტრუქტურებში ყოფილი სპორტსმენები საქმდებიან.<sup>46</sup> ეს პრობლემა გამოიკვეთა ასევე „საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ მიერ ჩატარებულ კვლევაშიც. მასში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შესრულების პროცენტული მაჩვენებელია 19%-მდე, რაც ნიშნავს,

<sup>42</sup> ქალთა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია შეიქმნა | რა მოლოდინები აქვთ ფეხბურთელებს. ხელმისაწვდომია: <https://batumelebi.netgazeti.ge/news/348311/>

<sup>43</sup> „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი, 68. ხელმისაწვდომია: [http://pbo.parliament.ge/images/Sport\\_Gender\\_Analysis\\_GEO\\_2020.pdf](http://pbo.parliament.ge/images/Sport_Gender_Analysis_GEO_2020.pdf)

<sup>44</sup> ქალთა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია შეიქმნა | რა მოლოდინები აქვთ ფეხბურთელებს. ხელმისაწვდომია: <https://batumelebi.netgazeti.ge/news/348311/>

<sup>45</sup> ქალთა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია შეიქმნა | რა მოლოდინები აქვთ ფეხბურთელებს. ხელმისაწვდომია: <https://batumelebi.netgazeti.ge/news/348311/>

<sup>46</sup> „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი, 68-69. ხელმისაწვდომია: [http://pbo.parliament.ge/images/Sport\\_Gender\\_Analysis\\_GEO\\_2020.pdf](http://pbo.parliament.ge/images/Sport_Gender_Analysis_GEO_2020.pdf)

რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკა „არ სრულდება“.<sup>47</sup> მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ეს კვლევა 2019 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მას შემდეგ ფეხბურთის ფედერაციამ სხვადასხვა ღონისძიება გაატარა.

#### 2.4.2.2. ქალთა ფეხბურთში მოქმედი სპეციალური წესები - კარგი პრაქტიკის მიმოხილვა

მოცემულ ქვეთავში საქართველოს სახალხო დამცველი მიმოხილავს ქალი ფეხბურთელების და ზოგადად, სპორტსმენი ქალების სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საჭიროებებს, თავისებურებებს. ანალიზს ექნება ორი მიმართულება - ჯანმრთელობის უფლების დაცვა და შრომითი უფლების დაცვა. ფიზიკური ჯანმრთელობის საკითხებზე ექსპერტული მოსაზრებების მიღების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ონლაინ რეჟიმში შეხვდნენ გინეკოლოგიისა და რეპროდუქციის დარგში მომუშავე ორ ექსპერტს, ლელა შენგელიასა და გიორგი ცერცვაძეს. რაც შეეხება შრომის უფლების დაცვას, ამ საკითხის ანალიზის მიზნით მიმოხილულია შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები.

#### ქალი ფეხბურთელების ჯანმრთელობის უფლების დაცვა

საკითხზე შეუძლია თუ არა მაღალი ფიზიკური დატვირთვა ქალს, რომელსაც აქვს მენსტრუაცია, ხომ არ მცირდება ამით მისი გამძლეობა და ხომ არ არის ეს ინდივიდუალური, ექსპერტმა გიორგი ცერცვაძემ გასცა პასუხი, რომ მენსტრუაციის პერიოდში სავარაუდოდ, სპორტსმენი ნაკლებად მობილური იქნება. მანვე აღნიშნა, რომ გააჩნია, სპორტსმენს აქვს თუ არა პრემენსტრუალური სინდრომი. დისკომფორტი მენსტრუაციის წინა პერიოდშიც შეიძლება, რომ იყოს. მისი თქმით, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები ხშირად გამოიყენება სპორტში, რომელსაც სამკურნალო ეფექტიც აქვთ, ვისაც პრემენსტრუალური სინდრომი აქვს. მისი თქმით, ამ მეთოდით მათ მენსტრუაციის მეტად კონტროლი შეეძლებათ. *მისი თქმით, ძნელად წარმოსადგენია, რომ მენსტრუაციის დროს ქალები ისეთივე (აქტიურ) ფორმაში იყვნენ, როგორც ჩვეულებრივ (როცა არ აქვთ მენსტრუაცია).* აღნიშნული კითხვის პასუხად, ლელა შენგელიამ დაამატა, რომ ქალი ფეხბურთელების ექიმი ასეთ საკითხებში უნდა იყოს სპეციალიზებული, მან ასევე აღნიშნა, რომ მენსტრუაციის დროს ქალი ფეხბურთელების შესაძლებლობები არის ინდივიდუალური.

საკითხზე ვარჯიში და ფიზიკურ დატვირთვა რამდენად რეკომენდებულია ქალებისთვის მენსტრუაციის დროს, გიორგი ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ზიანი ქალის ჯანმრთელობას არ მიადგება, თუმცა ჯობია, ჩვეულებრივთან შედარებით, ნაკლებად დაიტვირთოს ამ დროს სპორტსმენი ქალი. აღნიშნული მოსაზრება სრულად გაიზიარა ლელა შენგელიამაც.

საკითხზე რამდენად აუცილებელია მედიკამენტების მიღება და რა შედეგები შეიძლება აღნიშნულს მოჰყვეს, მათ შორის, ექიმთან კონსულტაციის გარეშე, რა საფრთხეებია

<sup>47</sup> ანატოლი კორეპანოვი, „საქართველო - კარგი მმართველობა ეროვნულ სპორტულ ფედერაციებში“, „საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი“, 5. ხელმისაწვდომია: <https://popspport.com/sites/default/files/inline-files/2.pdf>

მოსალოდნელი, გიორგი ცერცვაძემ აღნიშნა, რომ არსებობს მენსტრუაციის „გადატანის“ ორი გზა. მაგალითად, კონტრაცეპტივები და სუფთა პროგესტერინები. მისი თქმით, ეს არ ქმნის არანაირ პრობლემას არც ფიზიკური და არც ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის. *ამავე ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, სხვადასხვა ქალებს სხვადასხვა გვერდითი მოვლენები აღმოაჩნდეთ, ან რომელიმესთვის არ შეიძლებოდეს რომელიმე კონკრეტული კონტრაცეპციის საშუალება. თუმცა, უმეტესად სპორტსმენებს არ აქვთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენენ გართულებების რისკ-ჯგუფს. ლელა შენგელიამ აღნიშნული კითხვის პასუხად აღნიშნა, რომ ქვეყანაში, სამწუხაროდ, სპორტსმენებისთვის გაიდლაინები არ არსებობს და საჭიროა, უცხოეთის საუკეთესო პრაქტიკების შეკრება და გათვალისწინება, რადგან ყველა ქალი, გარდა იმისა, რომ არის სპორტსმენი, აქცევს ყურადღებას თავის რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და გეგმავს მომავალს. რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მენსტრუაციასთან დაკავშირებულ პრობლემების უგულვებლყოფას მაღალი ფიზიკური აქტივობის ფონზე. ამ კითხვაზე გიორგი ცერცვაძემ განმარტა, რომ თუ ქალს აქვს ჭარბი მენსტრუაციის პრობლემა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ანემია. მისივე თქმით, როცა სპორტსმენია ქალი, მისთვის უფრო რთული იქნება. მას გარკვეულწილად, მეტი ყურადღება დასჭირდება. მისი თქმით, ამ მხრივ ხელსაყრელია ასეთი მდგომარეობის მქონე სპორტსმენისთვის კონტრაცეპტივების მიღება, რადგან ის ამცირებს გამონადენს და სპორტსმენს დანაკარგი უფრო ნაკლები აქვს, მენსტრუაციის ხანგრძლივობაც ნაკლებია ასეთ შემთხვევაში. მისი თქმით, აშშ-ში იყო ასეთი მიდგომა, რომ თუ კი ქალი ძალიან დაკავებული იყო და სურდა მენსტრუაციის ჭარბი გამონადენის და მენსტრუაციის დღეების რაოდენობის შემცირება, 3 თვე ის გადაბმულად მიიღებდა კონტრაცეპტივებს და შემდეგ მეოთხე თვეში შეისვენებდა, ანუ ქალს მენსტრუაცია ექნებოდა მხოლოდ 3 თვეში ერთხელ.*

საკითხზე, შეიძლება თუ არა, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც მენსტრუაციის რაიმე სახის დარღვევით იქნება გამოხატული, სპორტსმენი ქალის შემთხვევაში უფრო მეტად გამწვავდეს მომეტებული ფიზიკური დატვირთვის გამო, გიორგი ცერცვაძემ უპასუხა, რომ არ იქნება ასეთი პრობლემა.

*გიორგი ცერცვაძემ ასევე აღნიშნა, რომ სპორტსმენები შესაძლებელია იღებდნენ გარკვეული სახის პრეპარატებს, რომელიც მოგვიანებით შევიდეს არალეგალური წამლების რიცხვში, ე.წ. დოპინგის სიაში. ჩაკითხვაზე, აღნიშნული ლეგალური დოპინგებისა და კონტრაცეპტივების ურთიერთქმედების შესახებ რამდენადაა საჭირო, რომ სპორტსმენმა ქალმა გაიაროს კონსულტაცია, ორივე ექსპერტმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ასეთი კონსულტაცია ექიმთან.*

საკითხზე, ხომ არ მიიჩნევენ ექსპერტები, რომ სპორტსმენი ქალების სადაზღვეო პაკეტებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გინეკოლოგის მომსახურების ლიმიტს, გიორგი ცერცვაძემ აღნიშნა, რომ არ მიიჩნევს საჭიროდ ასეთ ზომას. *ამავე კითხვაზე პასუხის გაცემისას მან აღნიშნა, რომ წაკითხული აქვს კვლევა, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ კონტრაცეპტივის (კოკის) გამოყენება სპორტსმენებისთვის შესაძლოა კავშირში იყოს მყესის დაზიანებასთან (მისი თქმით, ეს ვარაუდია და არ არის ჯერ დადგენილი). მისივე თქმით კომბინირებული*

კონტრაქტაცია კუნთოვან და ძვლოვან სისტემას უფრო კარგად ავითარებს. მისი თქმით, თუ ორგანიზმში არის ესტროგენის დეფიციტი (რაც იწვევს მენსტრუაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს), ამან შესაძლოა, გართულება გამოიწვიოს (ძვლის რაიმე სახის დაზიანება). ამავე საკითხთან დაკავშირებით, ლელა შენგელიამ აღნიშნა, რომ სპორტსმენი ქალების შემთხვევაში, მათი სადაზღვეო პაკეტები არ უნდა იყოს ბაზისური.

ორსულობის დროს ვარჯიშთან დაკავშირებით, ორივე ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ორსულობის დროს, ქალი აქტიურად ვერ ივარჯიშებს. მათი თქმით, ცხადია, ქალს შეეძლება ივარჯიშოს, თუმცა, ვარჯიშის ტემპი იქნება დაბალი. არასპორტსმენი ქალებიც ხშირად ვარჯიშობენ ორსულობის დროს.

კითხვაზე, უნდა ჰქონდეს თუ არა საფეხბურთო კლუბს შემუშავებული რაიმე სახის გაიდლაინები და სახელმძღვანელოები, თუ როგორ უნდა ივარჯიშოს (რა ინტენსივობით და ა.შ.) ქალმა ორსულობის დროს და მშობიარობის შემდგომ, გიორგი ცერცვაძემ გასცა პასუხი, რომ ასეთი გაიდლაინები საჭირო არ არის. ამავე კითხვაზე, ლელა შენგელიამ უპასუხა, რომ გაიდლაინები არის საჭირო იმ სპორტის ექიმებისთვის, რომლებიც ქალებთან მუშაობენ. მისი თქმით, ეს გაიდლაინები უნდა მოიცავდეს ყველა მდგომარეობას, რომელშიც შეიძლება იყოს ქალი, რომელიც არის აქტიური სპორტით დაკავებული. ორსულობის შემდგომი პერიოდისთვის, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მშობიარობის შემდგომი 42 დღე არის საყურადღებო, რის შემდეგაც, ქალს შეუძლია ვარჯიშის თანდათანობით დაწყება.

*ქალი ფეხბურთელების შრომის უფლების დაცვა*

აღსანიშნავია, ქალი ფეხბურთელების უფლებების დაცვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, ქალების დედობის უფლებიდან გამომდინარე, 2020 წლის დეკემბერში ფიფამ დაადასტურა ახალი წესები. ეს წესები უკვე ასახულია “მოთამაშეების სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ რეგულაციებში” (Regulations on the Status and Transfer of Players: January 2021 Edition). ფიფას განმარტებით, ამგვარი წესების მიღების მიზანია უზრუნველყოს ქალების კარიერის მდგრადობა და ხანგრძლივობა.<sup>48</sup>

ახალი წესი შეეხო ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების სავალდებულო ანაზღაურების საკითხს. მისი მიხედვით, მოთამაშე ქალებს კონტრაქტის ვადის განმავლობაში აქვთ ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების უფლება, რომელიც ანაზღაურებული მათი ხელფასის ორი მესამედის ექვივალენტით.<sup>49</sup> აღნიშნული წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს და ფიფა მიუთითებს, რომ თუკი შესაბამის ქვეყანაში არის ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების უკეთესი საკანონმდებლო გარანტიები ან კოლექტიური შეთანხმებით დგინდება უკეთესი პირობები, სწორედ გაუმჯობესებულ წესებს უნდა მიენიჭოს

<sup>48</sup> WOMEN'S FOOTBALL: MINIMUM LABOUR CONDITIONS FOR PLAYERS, FIFA. ხელმისაწვდომია: <https://digitalhub.fifa.com/m/033101649cc3c480/original/f9cc8eex7qligvxfzbnf-pdf.pdf>

<sup>49</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, Art. 18 para. 7, ხელმისაწვდომია: <https://digitalhub.fifa.com/m/e7a6c0381ba30235/original/g1ohngu7qdbxyo7kc38e-pdf.pdf>

უპირატესობა.<sup>50</sup> რეგულაციების თანახმად, თავად ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების მინიმალური ვადა არის 14 კვირა, აქედან მინიმუმ 8 კვირა უნდა იყოს აღებული ბავშვის დაბადების შემდეგ.<sup>51</sup>

2021 წელს ამოქმედებული ცვლილებების მიხედვით, გამონაკლისი წესია დადგენილი რეგისტრაციის პერიოდთან დაკავშირებითაც. კერძოდ, კლუბებს შეუძლიათ გამონაკლისის სახით დაარეგისტრონ ქალი ფეხბურთელი რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგაც, რათა დროებით შეცვალონ ქალი ფეხბურთელი, რომელიც სარგებლობს ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებით. დროებითი შემცვლელის კონტრაქტის ხანგრძლივობა, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, უნდა გაგრძელეს შვებულების ამდები მოთამაშის დაბრუნებიდან პირველი სარეგისტრაციო პერიოდის დაწყებამდე წინა დღემდე.<sup>52</sup>

ფიფას “მოთამაშეების სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ რეგულაციების“ მე-4 თავი მოიცავს სხვა სპეციალურ წესს ქალი მოთამაშეების მიმართ.<sup>53</sup> გარანტიებს შორისაა, მაგალითად:

- ქალი ფეხბურთელის კონტრაქტის მოქმედების ვადას არ შეიძლება განაპირობებდეს მოთამაშის ორსულობა, მისი ყოფნა ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებაში, ასევე მისი მხრიდან დედობასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება.<sup>54</sup>
- მოცემულია თუ როგორ უნდა დადგინდეს კომპენსაცია იმ ქალებისთვის, რომლებიც მისი ორსულობის გამო გათავისუფლებდნენ. ამ შემთხვევაში კლუბის მიმართ უნდა იყოს გამოყენებული სპორტული სანქციებიც.<sup>55</sup>
- თუკი ორსული მოთამაშის ან/და მისი ბავშვის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, მოთამაშეს უნდა შეეძლოს სპორტულ აქტივობაში მონაწილეობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყო დედისა და ბავშვის უსაფრთხოება.<sup>56</sup>
- ორსულ მოთამაშეებს ასევე აქვთ უფლება, რომ კლუბთან ალტერნატიულად ითანამშრომლონ. ასეთ შემთხვევებში, კლუბს აქვს ვალდებულება, პატივი სცეს მოთამაშის ამ გადაწყვეტილებას და იმუშაოს ფეხბურთელთან ერთად მისი

<sup>50</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, Art. 18 para. 7

<sup>51</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, Art. 18 para. 7, definitions, para. 30

<sup>52</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, Art. 6 para. 1

<sup>53</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, 18quater: Special provisions relating to female players

<sup>54</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, 18quater: Special provisions relating to female players, para. 1

<sup>55</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, 18quater: Special provisions relating to female players, para. 3

<sup>56</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, 18quater: Special provisions relating to female players, para. 4 (a)

ალტერნატიული დასაქმების გეგმის დასადაგენად, რა დროსაც ანაზღაურება სრულად ნარჩუნდება.<sup>57</sup>

- კლუბმა უნდა იზრუნოს, რომ ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებიდან დაბრუნებული ქალი ფეხბურთელი კვლავ იყოს ინტეგრირებული და ამ მიზნით მხარი დაუჭიროს მას სამედიცინო და ფიზიკური თვალსაზრისით.<sup>58</sup>

### 2.4.3. შეჯამება

საკითხების ანალიზმა ნათელი გახადა, რომ ქალის რეპროდუქციული უნარიდან გამომდინარე, ქალ ფეხბურთელებთან მიმართებით, მათი და ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობის და შრომის უფლების დაცვის მიზნით, აუცილებელია განსაკუთრებული მიდგომები.

რაც შეეხება ფიზიკური დატვირთვის საკითხს: როგორც გინეკოლოგიისა და რეპროდუქციის დარგში მომუშავე ორ ექსპერტთან გასაუბრებამ აჩვენა, მენსტრუაციის გადადების მიზნით მისაღებ მედიკამენტებს, შესაძლებელია, ფეხბურთელებზე განსხვავებული გვერდითი მოვლენა ჰქონდეს და აუცილებელია, რომ მედიკამენტების თვითნებურად მიღება არ მოხდეს. გარდა ამისა, სპორტსმენები შესაძლებელია იღებდნენ გარკვეული სახის პრეპარატებს, რომელიც მოგვიანებით შევიდეს არალეგალური წამლების რიცხვში, ე.წ. დოპინგის სიაში. ეს გარემოებები საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიუთითებს, რომ არსებითა, საფეხბურთო კლუბის ექიმებს ჰქონდეთ სპეციალიზებული ცოდნა და ინფორმაცია ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, ექსპერტებს განსხვავებული მოსაზრებების ჰქონდათ იმ საკითხთან დაკავშირებით, უნდა ჰქონდეს თუ არა საფეხბურთო კლუბს შემუშავებული რაიმე სახის სახელმძღვანელო დოკუმენტი (ე.წ. გაიდლაინი), თუ როგორ უნდა ივარჯიშოს (რა ინტენსივობით და ა.შ.) ქალმა ორსულობის დროს და მშობიარობის შემდგომ. გიორგი ცერცვაძის პოზიციით, ასეთი გაიდლაინები საჭირო არ არის. ამავე კითხვაზე, ლელა შენგელიამ უპასუხა, რომ გაიდლაინები არის აუცილებელი იმ სპორტის ექიმებისთვის, რომლებიც ქალებთან მუშაობენ. მისი თქმით, ესეთი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა მდგომარეობას, რომელშიც შეიძლება იყოს ქალი, რომელიც არის აქტიური სპორტით დაკავებული. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მშობიარობის შემდგომი 42 დღე არის საყურადღებო, რის შემდეგაც ქალს ვარჯიშის თანდათანობით დაწყება შეუძლია.

რაც შეეხება დედობის უფლებიდან გამომდინარე ქალების შრომითი უფლებების რეალიზებას: ქალი ფეხბურთელების წინაშე საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევების მხედველობაში მიღებით, მწვავედ დგას მათი შრომითი უფლებების დაცვის საკითხი, რაც, მათ

<sup>57</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, 18quater: Special provisions relating to female players, para. 4 (b)

<sup>58</sup> Regulations on the Status and Transfer of Players, January 2021 Edition, FIFA, 18quater: Special provisions relating to female players, para. 4 (d)

შორის, ფიფას სტანდარტიზაციის საგანიც კი გახდა. აღნიშნული სტანდარტები ზემოთ იყო მიმოხილული.

ამგვარად, არსებითია, რომ ქალი ფეხბურთელების ჯანმრთელობის უფლება და შრომის უფლება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან შესაბამისი სტანდარტების შემოღების გზით იყოს დაცული. აღნიშნული უნდა გამოიხატოს ორი მიმართულებით:

- ქალი ფეხბურთელების ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით:
  - არსებითია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ლიცენზირებას დაქვემდებარებული გუნდების ექიმებისთვის დაგეგმილ სავალდებულო ტრენინგებში გაითვალისწინოს ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები;
  - ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტექსტიდან გამომდინარე, მიიღოს სახელმძღვანელო დოკუმენტი (სტანდარტები) ქალი ფეხბურთელების ორსულობისა და შემდგომი პერიოდისთვის ფიზიკური დატვირთვის თაობაზე;
- ქალი ფეხბურთელების შრომის უფლების რეალიზების მიზნით, გაითვალისწინოს ფიფას შემდეგი წესები (რომელთა დარღვევისთვისაც გამოიყენებს მის ხელთ არსებულ სპორტულ სანქციებს):
  - ქალი ფეხბურთელის ხელშეკრულების მოქმედების ვადას არ შეიძლება განაპირობებდეს მოთამაშის ორსულობა, მისი ყოფნა ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებაში, ასევე მისი მხრიდან დედობასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება;
  - იმ შემთხვევაში, თუ ქალი ფეხბურთელი სამსახურიდან გათავისუფლდება ორსულობის გამო, დადგინდეს სპორტული სანქციები;
  - თუკი ორსული მოთამაშის ან/და მისი ბავშვის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, მოთამაშეს უნდა შეეძლოს სპორტულ აქტივობაში მონაწილეობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება;
  - ორსულ მოთამაშეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ კლუბთან ალტერნატიულად ითანამშრომლონ. ასეთ შემთხვევებში, კლუბს უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, პატივი სცეს მოთამაშის ამ გადაწყვეტილებას და იმუშაოს ფეხბურთელთან ერთად მისი ალტერნატიული დასაქმების გეგმის დასადგენად, რა დროსაც ანაზღაურება სრულად ნარჩუნდება.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ეს რეკომენდაციები არ არის პოზიტიური ღონისძიებები (რომლებიც თავის მხრივ დროებითი ხასიათის არის და მიზნად ისახავს დე ფაქტო თანასწორობის მიღწევას), არამედ მისი დანერგვა უნდა მოხდეს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნით.



### III. დასკვნა

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას:

- ქალი ფეხბურთელების ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით:
  - ლიცენზირებას დაქვემდებარებული გუნდების ექიმებისთვის დაგეგმილ სავალდებულო ტრენინგებში გაითვალისწინოს ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები;
  - ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტექსტიდან გამომდინარე, მიიღოს სახელმძღვანელო დოკუმენტი (სტანდარტები) ქალი ფეხბურთელების ორსულობისა და შემდგომი პერიოდისთვის ფიზიკური დატვირთვის თაობაზე;
- ქალი ფეხბურთელების შრომის უფლების რეალიზების მიზნით, გაითვალისწინოს ფიფას შემდეგი წესები (რომელთა დარღვევისთვისაც გამოიყენებს მის ხელთ არსებულ სპორტულ სანქციებს):
  - ქალი ფეხბურთელის ხელშეკრულების მოქმედების ვადას არ შეიძლება განაპირობებდეს მოთამაშის ორსულობა, მის მიერ ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულებით სარგებლობა, ასევე მისი მხრიდან დედობასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება;
  - იმ შემთხვევაში, თუ ქალი ფეხბურთელი სამსახურიდან გათავისუფლდება ორსულობის გამო, დადგინდეს სპორტული სანქციები;
  - თუკი ორსული მოთამაშის ან/და მისი ბავშვის მდგომარეობა საშუალებას იძლევა, მოთამაშეს უნდა შეეძლოს სპორტულ აქტივობაში მონაწილეობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყო მათი უსაფრთხოება;
  - ორსულ მოთამაშეებს ჰქონდეთ უფლება, კლუბთან ალტერნატიულად ითანამშრომლონ. ასეთ შემთხვევებში, კლუბს ჰქონდეს ვალდებულება, პატივი სცეს მოთამაშის გადაწყვეტილებას და იმუშაოს ფეხბურთელთან ერთად მისი ალტერნატიული დასაქმების გეგმის დასადგენად, რა დროსაც ანაზღაურება სრულად ნარჩუნდება.

გთხოვთ, წინამდებარე რეკომენდაცია გაუზიაროთ საქართველოში მოქმედ ქალთა საფეხბურთო კლუბებს და თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,